სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება №26-290618-01

ქ. გარდაბანი, 29 ივნისი , 2018 წ.

შპს "გარდაბნის თბოსადგური", შემდგომში - "შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და შპს „ჯი თი მოტორს" , შემდგომში - "მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის "თ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე (შემდგომში „ხელშეკრულება") :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ჩაუტაროს "შემსყიდველის" ბალანსზე რიცხულ SPA150028443 ტენდერის საფუძველზე შეძენილ ავტომანქანას - Ford Ranger, სახ/ნომერი CS-761-SC, გამოშვების წელი - 2015 (შემდგომში - ავტომანქანა) ავტოსარემონტო სამუშაოები (შემდგომში "მომსახურება"), რომელთა ჩამონათვალი მოყვანილია ინვოისში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. (CPV50112000)

1.2. მომსახურება ხორციელდება შემსრულებლის სერვის ცენტრში **ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე.**

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ვალდებულებების შესრულება.

2.2. "შემსყიდველი" უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.3 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "შემსყიდველს" ვალდებულებების შესრულება.

2.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდება მომსახურებასთან ერთად განახორციელოს „შემსყიდველის" ა/მანქანის სერვის-ცენტრში მიყვანისას **2018 წლის 10 ივლისის** ჩათვლით.

3.2. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს "მიმწოდებელს" გაწეული "მომსახურების" საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. ხელშეკრულების ფასი

4.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **228,04** ლარი (ორას ოცდარვა ლარი და 04 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით;

5. ხარისხი და გარანტია

5.1. "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ "მომსახურება" არის ხარისხიანი და საერთაშორისო სტანდარტებთან შეასაბამისი;

5.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია განაცხადოს უარი 5 დღეზე მეტი დაგვიანებით ან უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების, და/ან უხარისხო სათადარიგო ნაწილების მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე.

5.3. სამუშაოების ჩატარების დროს, სამუშაოების ჩატარებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკები ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება "მიმწოდებელს".

5.4. სამუშაოების ჩატარების შემდეგ "მიმწოდებელი" ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს დამკვეთს უფლებრივად და ტექნიკურად გამართული ავტომანქანა.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია, სამუშაოების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების და/ან ხელშეკრულებაში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში "მიმწოდებელი" უფლებამოსილია, დააკისროს "შემსყიდველს" საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

7.3. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც ფორმდება შეტყობინების სახით), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან/და ხელშეკრულებიდან გასვლა.

7.4. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

7.5. "მიმწოდებლის" მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7.6. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

8.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

8.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

29.06.2018

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი.

9.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს "შემსყიდველის" მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომლის ფუნქციაა "მომსახურების" მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

10.2. "მიმწოდებელთან" დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად "შემსყიდველისთვის" იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018წ 10 აგვისტომდე**

11.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე თუ:

ა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

ბ. ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომისას, არსებითად იცვლება ხელშეკრულების პირობები.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

12.3. ხელშეკრულების ნებისმიერი მუხლის, პუნქტის ან/და დებულების ბათილად ან/და ძალდაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანარჩენი მუხლების, პუნქტების ან/და დებულებების ნამდვილობაზე;

12.4. ხელშეკრულებაში დამატებების/დანართების/ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს "გარდაბნის თბოსადგური"	შპს „ჯი-თი მოტორს"
მის. ქ.გარდაბანი, დავით აღმაშენებლის 2 ბ	**მის:** ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 48ბ
ს/კ 404428071	**ს/კ:** 206276340
ტელ. 555 254747	ტელ. +995 2595000, 2596796
	ბანკი: სს „საქართველოს ბანკი", **ბ/კ:** BAGAGE22
	ა/ა GE89 BG00 0000 0247 6243 00
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ლ. მელაძე	თ. უსტიაშვილი

შპს „ჯი თი მოტორს“

Ford
Go Further

პროფორმა Proforma	თარიღი: Date: 29.06.2018	დაკვეთა: Jobcard: 172380

მყიდველი: შპს გარდაბნის თბოსადგური

ავტომანქანა:
fORD ranger
სახ.ნომერი:CS761SC
VIN: 6FPPXXMJ2PFS06501
გარბენი: 101550 km

595-22-22-77
საიდენტ.ნომერი: 404428071

გვერდი 1

N/N	კოდი	დასახელება	ერთ.ფასი	რაოდ/ განზ	ჯამი დღგ გარეშე	ჯამი დღგ ჩათვლით
2	11.11.11(0)	შეცვლა სენსორის	50.85	1.00/სთ.	50.85	60.00
3	-2028435	აბს სენსორი უკ მჯ	142.40	1.00/ც.	142.40	168.03

ხელობა: 50.85 ნაწილები: 142.40 სხვა: 0.00

გადახდის ფორმა: ნაღდი

ჯამი დღგ ჩათვლით () 228.04

მენეჯერი:

GT MOTORS
„GT MOTORS“ LTD * 206276340 *
შპს „ჯი თი მოტორს“

მყიდველი: . . . .
გარდაბნის, თბოსადგური

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გარდაბანი, 29.06.2018

ხელშეკრულება № 26-290618-01
მიმწოდებელი - შპს "ჯი-თი მოტორსი"

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, წინამდებარე ხელწერილით ვადასტურებთ, რომ გავეცანით ხელშეკრულების პირობებს და ვეთანხმებით (ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში).

ასევე ვადასტურებთ, რომ აღნიშნულ შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

_____ გიორგი თალაკვაძე

_____ ვაჟა კახნიაძე

_____ მამია შაფაქიძე

_____ თ. მინდიაშვილი